საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19117187, 25/10/2019 11:58:53

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს დიანა
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	211337178
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	5ა/4-57; 31/07/1995
მარეგისტრირებელი ორგანო:	ვაკე-საბ. რ/ნის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზირი, N28

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - მამუკა კანთელაძე, 01017024636

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
თეონა თავაძე, 01030015813	46%	
ვლადიმერ კერესელიძე, 01026002964	54%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20005791, 22/01/2020 10:04:38

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ნიკო
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	445574888
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	22/01/2020
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა, N 37, ბინა 5

დამატებითი ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: Vladimir.partinoy@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - თამარ ცეცხლაძე, 61001087131

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
თამარ ცეცხლაძე, 61001087131	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ხელშეკრულება

ფართის იჯარით გაცემის შასახებ

ქ. თბილისი 22.01.2020წ.

შპს "დიანა"-ს (ს/კ 211337178) დირექტორი მამუკა კანთელაძე (პ/ნ 01017024636) ერთის მხრივ, შემდგომში „მეიჯარე" და შპს "ნიკო"-ს (ს/კ 445574888) დირექტორი თამარ ცეცხლაძე (პ/ნ 61001087131) მეორეს მხრივ, შემდგომში „მოიჯარე", ვდებთ შემდეგ ხელშეკრულებას :

1. საერთო პირობები

1. „მეიჯარე" გადასცემს, ხოლო „მოიჯარე" იღებს საიჯარო სარგებლობისათვის ქ. თბილისი პეკინის გამზ. №28-ში მდებარე (საკადასტრო კოდი: 01.10.14.030.011.01.502) 40კვ.მ არასაცხოვრებელ ფართს.

1.2. იჯარის ვადა განისაზღვროს 1 წლით ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან.

1.3. ხელშეკრულება ძალაში შედის 01.02.2020წ.

2. „მეიჯარის" სასარგებლოდ საიჯარო გადასახადი და გასავლები.

2.1. ხელშეკრულებაში აღნიშნული (პარაგრაფი 1) ფართისათვის „მოიჯარე" ვალდებულია გადაუხადოს „მეიჯარეს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო გადასახადი 1000 (ერთი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი დღგ -ს ჩათვლით წინასწარ ყოველი თვის 5 რიცხვამდე ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო ექვსი თვის შემდეგ 1100 (ერთი ათას ასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში მეიჯარის იმ საბანკო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების ბოლოს.

2.2. 22.01.2020-დან 01.02.2020-მდე არის საშეღავათო პერიოდი სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად. მოიჯარე 01.02.2020-დან იწყებს ქირის გადახდას.

2.3. იჯარის თანხის დაგვიანების შემთხვევაში მოიჯარე ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის საიჯარო თანხის 0.1 %-ს.

3. „მოიჯარის" ვალდებულებანი.

3.1. „მოიჯარე" ვალდებულია გამოიყენოს იჯარით აღებული ქონება ხელშეკრულებისა და დანიშნულების შესაბამისად.

3.2. „მოიჯარე" ვალდებულია მოუაროს იჯარით აღებულ ქონებას.

3.3. იჯარით აღებული შენობა შეინახოს სანიტარული და კულტურული წესებისა და ნორმების დაცვით.

3.4. მოიჯარემ მეიჯარესთან შეთანხმებით აწარმოოს იჯარით აღებული ფართის გადაკეთება და ხელახლად მოწყობა.

3.5. იჯარით აღებულ შენობაში გაფუჭებისა და დაზიანებისაგან დაიცვას წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის მოწყობილობა, ელექტროქსელი.

3.6. მოიჯარე პასუხისმგებელია მოხმარებული კომუნალური მომსახურების საფასურის გადახდაზე ყველა კომუნალური მომსახურების კომპანიის წინაშე. ამ თვალსაზრისით მოიჯარე უფლებამოსილია, თვითონ აღირიცხოს კომუნალური მომსახურეობის აბონენტად მისთვის საჭირო კომპანიებთან და დაიყენოს შესაბამისი მრიცხველები.

4. საიჯარო ხელშეკრულების განახლება, შეცვლა, შეწყვეტა და გაუქმება.

4.1. ხელშეკრულების განახლებისას ხელშეკრულებების პირობები შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით, ერთერთი მხარის მოთხოვნით მოქმედი კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4.2. საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება დასაშვებია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ან საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

4.3. „მეიჯარეს" უფლება აქვს საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე უპირობო გაუქმებისა თუ „მოიჯარე":

განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს ქონების მდგომარეობას, არ შეაკეთებს ქონებას, როდესაც ეს ევალება საიჯარო ხელშეკრულებით, იჯარის გადახდას დააგვიანებს ერთი თვით. „მეიჯარეს" უფლება აქვს „მოიჯარეს" მოსთხოვოს შენობის განთავისუფლება, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, დღიდან მოთხოვნისა 1 თვის განმავლობაში.

4.4. საიჯარო ხელშეკრულების განახლება ახალი პირობებით, შეწყვეტა და გაუქმება ხდება წერილობითი ფორმით.

4.5. "მოიჯარე" ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, "მეიჯარეს" აცნობებს 2 თვით ადრე, წინააღმდეგ შემთხვევაში სანქციის სახით მეიჯარის სასარგებლოდ იხდის 2 თვის საიჯარო ქირას.

4.6. მეიჯარე ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარეს აცნობებს 2 თვით ადრე წინააღმდეგ შემთხვევაში სანქციის სახით იხდის 2 თვის ქირის ოდენობას გარდა ხელშეკრულების 4.3. პუნქტით გათვალისწინებული უპირობო შეწყვეტისა.

4.7. ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ მოიჯარეს მიაქვს მხოლოდ თავის ინვენტარი ,თუ ინვენტარის მოხსნისას დააზიანა ფართის რემონტი, შეაკეთებს თავის ხარჯებით და ფართს ტოვებს პირვანდელ მდგომარეობაში მიღება-ჩაბარების აქტის გათვალისწინებით.

5. <u>სანქციები</u>

5.1. თუ „მოიჯარემ" გააუარესა საიჯარო ქონების მდგომარეობა, მან უნდა აუნაზღაუროს „მეიჯარეს" მიყენებული ზარალი.

6. ფორს მაჟორი

6.1 დაუძლეველი გარემოებების შემთხვევაში, ორივე მხარე გათავისუფლებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან, ფორს მაჟორის დაძლევამდე

6.2. თუ დაუძლეველი ძალის მოვლენა გაგრძელდა 60 (სამოც) კალენდარულ დღეზე მეტხანს, თითოეულ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და არ იქნება პასუხისმგებელი მეორე მხარის წინაშე ამგვარი შეწყვეტის გამო, თუ იგი შეატყობინებს მეორე მხარეს წერილობით ამგვარი შეწყვეტის თაობაზე სულ მცირე 5 სამუშაო დღით ადრე.

7.საგადასახადო ვალდებულებები:

7.1. თითოეული მხარე თავად აგებს პასუხს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების დროულად და სრულად გადახდაზე. არც ერთ მხარეს არ ეკისრება ვალდებულება, მეორის ნაცვლად გადაიხადოს გადასახადები.

8. შენობის გასხვისება

8.1 შენობის ნებისმიერი მიზეზითა და სახით გასხვისებისას მოიჯარეს აქვს უპირატესი შესყიდვის უფლება მხარეთა შორის შეთანხმების შემთხვევაში.

9. დასკვნითი დებულებები:

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მომდევნო ცვლილება, დამატება ან განმარტება ძალაშია მხოლოდ წერილობითი ფორმით და მხოლოდ მას შემდეგ რაც ორივე მხარე მოაწერს მას ხელს.

9.2. მხარეები ეცდებიან მათ შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს გზით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

10. <u>მხარეთა იურიდიული მისამართები</u> :

„მეიჯარე"
შპს დიანა
ვითიბი ბანკი
GE32VT7000000004893602

დირექტორი:

„მოიჯარე“
შპს „ნიკო“

დირექტორი: